ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 322

« 15 » აგვისტო 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე №01.14.06.003.015 და №01.14.06.003.032 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „კავშირი-ასოციაცია აგორასთვის" (ს/კ 202248175) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე №01.14.06.003.015 და №01.14.06.003.032 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „კავშირი-ასოციაცია აგორასთვის" (ს/კ 202248175) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 9 აგვისტოს №29.08.581 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 659 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.06.003.015) და ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 1281 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.06.003.032) ა(ა)იპ „კავშირი-ასოციაცია აგორასთვის" (ს/კ 202248175) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე, მეფუტკრეობის განვითარების მრავალფუნქციური რეგიონალური ცენტრის განთავსების მიზნით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი